

გიორგი მარგველაშვიდი: პატრულის დღევანდელი რეპუტაცია უაღრესად დაფასებური და საზოგადოებრივი მონაპოვარია

გიორგი მარგველაშვიდი: პატრულის დღევანდელი რეპუტაცია უაღრესად დაფასებური საზოგადოებრივი მონაპოვარია

18:35 27.11.2014

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვიდი, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დაარსების ათი წლისთავს ულოცავს. „საპატრულო პოლიციის თითოეულ თანამშრომელს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დაარსების ათი წლისთავს გურიტადად ვულოცავ. თქვენთან ერთად ამ დღეს ჩვენს თანამოქალაქეებს ვულოცავ.“

პატრულის დღევანდელი რეპუტაცია უაღრესად დაფასებური საზოგადოებრივი მონაპოვარია. ამ დროის განმავლობაში თქვენ შეძელით ის, რაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში ბევრს წარმოუდგენდად ესახებოდა: მოიპოვეთ საზოგადოების სრული ნდობა და განსაკუთრებული პატივისცემა.

საბჭოური მილიციისადმი ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული დამოკიდებლობის დიამეტრალურად შეცვლა ურთუდესი ამოცანა იყო.

თქვენ ღირსეულად გაართვით თავი ამ გამომწვევას ხაღხის რეალურ ინტერესებზე ორიენტირებით, კანონისა და საზოგადოების ერთგულებით, 24 საათიანი დაძაბული შრომით, ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, სხვათა სიცოცხლისა და უსაფრთხოებაზე ზრუნვით.

გისურვებთ მომავალ წარმატებებს საქმიანობაში, კეთილდღეობასა და მშვიდობას თქვენ და თქვენს ოჯახებს“, -ნათქვამია პრეზიდენტის მისაღოც წერილში.

დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დაარსების ათი წლის იუბილე მოეწყო. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვიდი, მთავრობის

წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღარიბაშვიდმა სტუმრებს სიტყვით მიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ადექსანდრე ჭიკაიძემ კი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები სამსახურებრივი მოვადეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და სხვა დამსახურებებისთვის სპეციალური ჯიღლოებითა და სიგერებით დააჯიღლოვა.

ღონისძიებაზე საპატრულო პოლიციის ახალი ავტომანქანის „ფორდ ინტერსექტორი“-ს პრეზენტაციაც გაიმართა.